

სახელმძღვანელო

მოწყობილობის ენერგო იზოლაცია (Lock out / tag out / try out)

მოქმედების სფერო:	ჯგუფი
ავტორი:	ჯგუფის HR/ ჯგუფის H&S
გამოცემა:	04/2013
განახლება	11/2016
ვერსია	2.0



სარჩევი

1	დანიშნულება.....	3
2	მიზანი	3
3	მოქმედების სფერო	3
4	როლი და პასუხისმგებლობები	3
5	განმარტებები	4
6	ძირითადი პრინციპები.....	6
6.1	მომზადება/ინფორმირება/კოორდინაცია	6
6.2	რისკების შეფასება (სამუშაოს ანალიზი)	6
6.2.1	რეკომენდირებული საფეხურები:.....	7
6.3	სამუშაო პროცედურები	7
6.4	ხელსაწყოები.....	7
7	ენერგო იზოლაციის პროცესი (LOTOTO)	8
7.1	ენერჯის გათიშვა	8
7.1.1	პასუხისმგებლობები	8
7.2	გაუთვალისწინებელი ჩართვისაგან დაცვა (lock out)	9
7.2.1	საკეტები	9
7.3	თეგირება (tag out)	10
7.4	ეფექტურობის შემოწმება (try out).....	10
7.5	მოწყობილობის ჩართვა	10
8	ახალი მოწყობილობების შექმნა	11
9	კონტრაქტორები და გარე ორგანიზაციები.....	11
10	პერსონალის კომპეტენცია	11
10.1	სწავლებები	12
11	საგანგებო სიტუაციები	12
12	პროცესის დანერგვა და კონტროლი.....	12
13	დამატებითი ინფორმაცია.....	12

1 დანიშნულება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელოს, პასუხისმგებელი მენეჯერებისათვის და ადგენს ძირითად სტანდარტებსა და მოთხოვნებს მოწყობილობის ენერგო იზოლაციისათვის. ყველა ძირითადი შენიშვნა მანქანა დანადგარის უსაფრთხოების სახელმძღვანელოში, განვითარებული და სიღრმისეულად არის აღწერილი აღნიშნულ დოკუმენტში.

ნებისმიერი მიღებული ზომა და გადაწყვეტილება უნდა იყოს თანხვედრაში, როგორც ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებთან, ასევე ჰაიდელბერგემენტის სტანდარტებთან მიმართებაში. განსხვავების შემთხვევაში ადგილობრივ კანონმდებლობასა და შიდა ნორმებს შორის, უპირატესობა უნდა მიენიჭოს შედარებით მკაცრ მოთხოვნებსა და რეგულაციებს.

2 მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მინიმალიზირებული იქნას ინციდენტის დადგომის რისკები, რომლებიც წარმოიშვება სხვადასხვა სახის მანქანა მოწყობილობებიდან მათი არასწორი ბლოკირების (ენერგო იზოლაციის) საფუძველზე.

ტექნიკური, ორგანიზაციული და პიროვნული ღონისძიებების შექმნითა და ოპტიმიზაციით, სამუშაო უნდა იყოს შეძლების და გვარად უსაფრთხო, როგორც ადამიანებისათვის ასევე კომპანიის ქონებისათვის.

3 მოქმედების სფერო

წინამდებარე დოკუმენტი სავალდებულოა ჰაიდელბერგემენტის საკუთრებაში არსებული ყველა სამუშაო ობიექტისათვის.

წინამდებარე სახელმძღვანელოთი განსაზღვრული ვალდებულებები ენერგო იზოლაციასთან დაკავშირებით ვრცელდება, როგორც არსებულ მოწყობილობებზე, ასევე ახლებზედაც, რომლის დანერგვის პროცესიც იგეგმება.

აღნიშნული დოკუმენტი არ არის სრულყოფილი, ის მხოლოდ ადგენს მინიმუმ სტანდარტსა და მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დაინერგოს და განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობისა და სხვა სახის რეგულაციების გათვალისწინებით.

4 როლი და პასუხისმგებლობები

ჰაიდელბერგემენტის ადგილობრივი მენეჯმენტი ვალდებულია არსებული სახელმძღვანელოს დანერგვაზე, ასევე მისი თარგმნისა და მუშა პერსონალის გაცნობის უზრუნველყოფისათვის.

ადგილობრივი მენეჯმენტი უნდა დარწმუნდეს, რომ შესაბამისი ეფექტური ზომები (ძირითადი და სპეციფიური) ადგილზეა და ხდება მათი დაცვა. ასევე პასუხისმგებელი არიან, რომ დარწმუნდნენ, რომ მუშა პერსონალი ათვისებულია ენერგო იზოლაციის წესებსა და რეგულაციებს და მათ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარები პროცესის განხორციელებისათვის

კონტრაქტორები ვალდებული არიან დაიცვან წინამდებარე სახელმძღვანელო, ამისათვის ისინი გაცნობილნი უნდა იყვნენ ენერგო იზოლაციის ადგილობრივ წესებსა და მოთხოვნებს. კონტრაქტორების პასუხისმგებლობაა არსებული წესების დაცვა, უწინარეს ყოვლისა გამოყენებული უნდა იქნას შესაბამისი ზომები, ასევე გათვალისწინებული იქნას კომპანიის სახელმძღვანელოებით „სტუმრებისა და კონტრაქტორების უსაფრთხოება“ და „ მანქანა დანადგარების უსაფრთხოებით“ გათვალისწინებული მოთხოვნები.

5 განმარტებები

ენერგია სხვადასხვა სახის ენერჯის მაგალითებია:

- ელექტრო ენერგია
- პნევმატური/ჰიდრაულიკური ენერგია
- ელექტრო მაგნიტური ენერგია
- ქიმიური ენერგია
- რადიო აქტიური ენერგია
- თბო ენერგია/ორთქლი/სოცხე
- გრავიტაციული ენერგია
- ცხელი და ცივი ზედაპირი
- მექანიკური ენერგია
- პოტენციური/კინეტიკური ენერგია

მოწყობილობა მოწყობილობა ეს არის სისტემური კომბინაცია მანქანა დანადგარებისა და ცალკეული აგრეგატის, რომლებსაც გააჩნიათ ურთიერთკავშირი მათი ფინქციების, კონტროლის ან უსაფრთხოების გათვალისწინებით, მაგალითისათვის:

- პნევმატური სისტემები
- პროცესის საინჟინრო სისტემები
- დაფქვის, შერევის სისტემები
- ელექტრო გაყვანილობები
- წნევის ჭურჭლები
- ამომრთველები და ენერჯის მომარაგების სისტემები
- კონვეიერები
- სამსხვრეველები, ჰიდრაულიკური ამწეები
- ლიფტები და ელევატორები

აღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით, სხვა სისტემები, სადაც არსებობს საფრთხე განსაზღვრულია, როგორც მოწყობილობა. მაგალითისათვის:

- ყვითელი ტექნიკა
- სატვირთოები
- ბეტონის მიქსერები და პომპები

მოწყობილობის ენერგო იზოლაცია

მოწყობილობის
იზოლაცია

მოწყობილობის ენერგო იზოლაცია არის პროცესი. რომელიც იცავს ადამიანებს, რომლებიც ახორციელებენ გარკვეული სახის სამუშაოებს ისეთი სახის საფრთხისაგან, როგორცაა მოწყობილობის მოულოდნელი/დაუგეგმავი ამოქმედება მათზე მოქმედი სხვადასხვა სახის ენერჯის ზემოქმედებით.

საფრთხის ზონა

ზონა, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს მასში მოხვედრისას.

ინტერლოკი

მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს დანადგარის გათიშვას, მაშინ როდესაც ადამიანი ან მისი სხეულის ნაწილი ხვდება საფრთხის ზონაში. ინტერლოკის მაგალითებია: სხივური ბარიერები, ელექტრონული ან მაგნიტური კონტაქტორები, წნევის სენსორები და ა.შ.



ყურადღება: სამუშაო პროცესში ან მოწყობილობაში ინტერლოკის გამოყენება ან არსებობა არ ანაცვლებს ენერგო იზოლაციის პროცესს!

საკეტი

მექანიკური მოწყობილობა, რომელიც გათვალისწინებულია ენერჯის ზემოქმედების პრევენციისათვის, რომელსაც გააჩნია მხოლოდ ამ საკეტისათვის გათვალისწინებული გასაღები და მისი მოხსნა ან გამოყენება შესბამისი გასაღებით შეუძლებელია.

LOTOTO

მოწყობილობის ენერგო იზოლაციის პროცესი, რომელიც ასევე ცნობილია აბრევიატურით (LOTOTO), და გულისხმობს მოწყობილობის ბლოკირებას, ბლოკირების ეფექტურობის შემოწმებასა და თეგირებას. .

მრავალ ფუნქციური საკეტი

მოწყობილობა, რომელიც დგება იზოლაციის წერტილზე და უზრუნველყოფს მასზედ 2 და მეტი პერსონალური საკეტის დადებას.

მაკრატელა საკეტი

მოწყობილობა რომელიც წააგავს მაკრატელს, დგება იზოლაციის წერტილზე და უზრუნველყოფს მასზედ 2 ან მეტი პერსონალური საკეტის დადებას.

სისტემა

სისტემა გულისხმობს: მოწყობილობებს, სამუშაო პროცესში ჩართულ თანამშრომლებს, მათ სამუშაოს და ორგანიზებას.

სამუშაო/დავალბა

გულისხმობს სამუშაოს (არა ლიმიტირებულს) როგორცაა რემონტი/შეკეთება, დალაგება, ინსპექტირება და ა.შ.

6 ძირითადი პრინციპები

6.1 მომზადება/ინფორმირება/კოორდინაცია

საოპერაციო პროცედურები ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებს მოწყობილობის ენერგო იზოლაციას. სავალდებულოა მოწყობილობის ენერგო იზოლაციის სწორად დაგეგმვა და პროცესში მონაწილე ყველა პირის ინფორმირება.

დადგენილი და განსაზღვრული უნდა იყოს კომუნიკაციის მოდელი და საშუალებები პროცესში მონაწილე ყველა პირს შორის

ენერგო იზოლაციის პროცესი უნდა ჩატარდეს ზედამხედველობის ქვეშ და უნდა წარიმართოს ყველა მოთხოვნის დაცვით

განსაზღვრული და გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ძირითადი საავარიო გეგმა ასევე სპეციფიკური გეგმაც თუ ამას სამუშაოს სპეციფიკა მოითხოვს

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროცესს, თუ მასში ერთდროულად ჩართულია რამოდენიმე მხარე (თანამშრომლები/კონტრაქტორები ან მესამე მხარე)



ყურადღება: ენერგო იზოლაცია ყოველთვის უნდა ჩატარდეს ყველაზე მაღალი რისკის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიდაც კი თუ, სამუშაო არის ადვილი და ერთი შეხედვით ნაკლები საფრთხის შემცველი.

იმ შემთხვევაში, თუ მოწყობილობა ენერგო იზოლაციის შემდეგაც შეიცავს რისკს და ალბათობას რომ ინციდენტის მოხდება, უნდა შეჩერდეს და შემუშავდეს შესაბამისი ნებართვა სადაც გათვალისწინებული იქნება კონტროლის ყველა ღონისძიებები.

6.2 რისკების შეფასება (სამუშაოს ანალიზი)

რისკების შეფასება სავალდებულოა მოწყობილობის ენერგო იზოლაციის პროცესამდე. რისკების შეფასება უნდა გადაიხედოს რეგულარულად. სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

ახალი რისკების შეფასება უნდა ჩატარდეს თუ შეიცვალა სისტემა, მოწყობილობა, მოწყობილობის ნაწილი, მოხდა ინციდენტი ან near hit-ი

რისკების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საფრთხის ზეგავლენის ხანგრძლივობის სიხშირე და შედეგის სიმძიმე.

რისკების შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზები უნდა იყოს დოკუმენტირებული და ხელმისაწვდომი მუშა პერსონალისათვის ადგილობრივ ენაზე. ხარვეზები ტრანსფორმირებული უნდა იყოს შესაბამის ტექნიკურ, ორგანიზაციულ და პერსონალურ კონტროლის ზომებად, მანამ სანამ მოხდება მოწყობილობის ენერგო იზოლაცია.

რისკების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მომწოდებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. ერთი და იგივე მოწყობილობაზე შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ ერთი რისკების შეფასება.

6.2.1 რეკომენდირებული საფეხურები:

- სისტემის აღწერა
- რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება
- არსებული მდგომარეობის ანალიზი
- საბოლოო მიზნის განსაზღვრა
- ალტერნატივის იდენტიფიცირება, არსებულ მდგომარეობასა და საბოლოო მდგომარეობის შორის ხარვეზის აღმოსაფხვრელად
- სამოქმედო გეგმის შედგენა, პასუხისმგებლობებითა და შესაბამისი სამუშაო პროცედურებით
- შემოწმებები, რათა დარწმუნდეთ რომ მიღებული ზომები ეფექტურია
- დოკუმენტირება

ყველა მოწყობილობის ენერგო იზოლაციის პროცესის დაწყებამდე, მენეჯერმა და თანამშრომელმა უნდა გაითვალისწინოს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიცაა მაგალითისათვის ამინდის მდომარეობა, ამომრთველის მდომარეობა და ა.შ. რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროცედურის ჩათვლით ჩატარებულ მოწყობილობის ენერგო იზოლაციაზე.

6.3 სამუშაო პროცედურები

სამუშაო პროცედურა უნდა შედგეს რისკების შეფასების საფუძველზე და აღწერდეს სამუშაოს თითოეულ საფეხურს, პასუხისმგებლობებს და პერსონალის ქმედებებს ენერგო იზოლაციის პროცესში.

სამუშაო პროცედურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროცესში მონაწილე ყველა მუშაო პერსონალისათვის მათთვის გასაგებ ენაზე.

იმ შემთხვევაში თუ პერსონალის ნაწილს არ ესმის ადგილობრივი ენა, ესეთ შემთხვევაში პროცედურა ნათარგმნი უნდა იყოს მათთვის გასაგებ ენაზე.

სამუშაო პროცედურის დარღვევა უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის დისციპლინარულ ზომებს.

6.4 ხელსაწყოები

ყველა ხელსაწყო, რომელიც საჭიროა მოწყობილობის, მექანიზმის და ა.შ. იზოლაციისათვის ენერგიის წყაროდან საჭიროა იყოს გამართული და შეესაბამებოდეს მწარმოებლის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. ხელსაწყო ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამუშაო პროცესში მონაწილე ყველა პირისათვის

სავალდებულო შემოწმებები, როგორცაა ვიზუალური, პერიოდული და ა.შ. უნდა ტარდებოდეს რეგულარულად მწარმოებლის მიერ მოწოდებული ვადებისა და ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნის გათვალისწინებით.

7 ენერგო იზოლაციის პროცესი (LOTOTO)

7.1 ენერგიის გათიშვა

ენერგო იზოლაციის პირველი ნაწილია ენერგიის წყაროს გათიშვა ანუ მოწყობილობის იზოლირება ენერგიის წყაროდან.



ყურადღება: ამომრთველის გააქტიურება, საავარიო ღილაკის გააქტიურება ან ინტერლოკის გამოყენება არ წარმოადგენს ენერგო იზოლაციის პროცესს.

ენერგია, რომელიც რჩება სისტემაში (ნარჩენი ენერგია) და რომელმაც შესაძლოა ზიანი გამოიწვიოს, უნდა იყოს დაცლილი/მოშორებული სისტემიდან. თუ ეს შეუძლებელია ან სამუშაო პროცესი ითვალისწინებს მასში ნარჩენი ენერგიის ყოფნის აუცილებლობას, ესეთ შემთხვევაში დამატებითი ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა არ მოხდეს ნარჩენი ენერგიის გამონთავისუფლება, რამაც შესაძლოა ინციდენტი გამოიწვიოს.

თუ ნარჩენი ენერგიის იზოლირება შეუძლებელია, სავალდებულოა შეფასდეს რისკები და დაიგეგმოს შესაბამისი კონტროლის ღონისძიებები.

7.1.1 პასუხისმგებლობები

პიროვნება, რომელიც ასრულებს სამუშაოს და შედის საფრთხის ზონაში, უნდა გააჩნდეს კონტროლის ყველა საშუალება მოწყობილობის ამომრთველებზე მათი იზოლაციის კუთხით. თუ ეს შეუძლებელია დამატებითი ზომები უნდა იყოს მიღებული რათა არ მოხდეს ენერგიის ზემოქმედება პიროვნებაზე.

მიღებული უნდა იყოს ყველა ზომა, რომელიც მიცემს პიროვნებას საშუალებას პირადად მოახდინოს ენერგიის იზოლაცია. პიროვნების ამგვარი ჩართულობა უზრუნველყოფს უსაფრთხოების უფრო მაღალ დონეს.

იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება რომელიც ჩართულია საქმეში და ვერ ახერხებს პირადად ენერგიის ბლოკირებას, ესეთ შემთხვევაში შესაბამისი კავშირი და კოორდინაცია უნდა არსებობდეს იმ პირთან მიმართებაში, რომელიც ახორციელებს მოწყობილობის იზოლაციას. საკომუნიკაციო სიგნალები და ნიშნები გასაგები უნდა იყოს პროცესში მონაწილე ყველა პირისათვის სამუშაოს დაწყებამდე. სამუშაო ნებართვა არის რეკომენდირებული აღნიშნული შემთხვევებისათვის.

სავალდებულოა პიროვნება, რომელიც უშუალოდ ასრულებს სამუშაოს ორმაგად გადაამოწმოს მოწყობილობის ენერგო იზოლაციის საიმედოობა.



ყურადღება: დროის დაწესება მოწყობილობისათვის ენერგო იზოლაციის კუთხით დაუშვებელია.

იმ შემთხვევაში თუ იზოლაციის პროცესი არის კომპლექსური და მარალი რისკის შემცველი, იზოლაციის სრული პროცესი უნდა იყოს დოკუმენტირებული.

7.2 გაუთვალისწინებელი ჩართვისაგან დაცვა (lock out)

მოწყობილობა უნდა იყოს დაცული ამოქმედებისაგან მასზედ მიმდინარე სამუშაო პროცესისას. უსაფრთხოების ზომები უნდა ითვალისწინებდეს მოწყობილობის ჩართვის პრევენციას სხვა პირის მიერ. ერთ ერთი ესეთი ზომაა საკეტი.

იმ შემთხვევაში, თუ მოწყობილობა უნდა იყოს იზოლირებული ხანგრძლივი პერიოდით, დამატებითი ზომები უნდა იყოს მიღებული, რათა გამოირიცხოს დაუგეგმავი ჩართვა.



ყურადღება: მოწყობილობის ამომრთველის გააქტიურება, საავარიო ამომრთველის გააქტიურება ან ინტერლოკის გამოყენება არ წარმოადგენს მოწყობილობის ენერგო იზოლაციის პროცესს.

იმ შემთხვევაში, თუ კი მოწყობილობას გააჩნია დამატებითი ჩამრთველი მექანიზმი, არსებული მექანიზმიც უნდა იყოს ბლოკირებული.

საფრთხის ზონაში შესვლა უნდა იყოს ლიმიტირებული და კონტროლირებადი სხვადასხვა საშუალებებით, როგორებიცაა: ბარიერები, ნიშნები, გამაფრთხილებელი წარწერები და ა.შ.

7.2.1 საკეტები

საკეტების/ბოქლომების გამოყენება, წარმოადგენს დამატებით ზომას უსაფრთხოების დონის ასამაღლებლად. კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი რაოდენობის საკეტები სამუშაო პროცესში ჩართული თანამშრომლებისათვის.

ბოქლომები უნდა იყოს თეგირებული, უნდა იკითხებოდეს მეპატრონის სახელი გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია.

იმ შემთხვევაში თუ რამოდენიმე პიროვნება ერთდროულად არის ჩართული სამუშაო პროცესში, ესეთ შემთხვევაში თითოეულმა მათგანმა უნდა გამოიყენოს საკუთარი ბოქლომი, რათა უზრუნველყოფილი იქნას უსაფრთხოების მაღალი დონე.

იმ შემთხვევაში თუ გამოიყენება ბოქლომები, პიროვნება პირადად უნდა ინახავდეს გასაღებს. სათადარიგო გასაღები უნდა იყოს დაცული და ის განხილული უნდა იყოს როგორც სარეზერვო, სათადარიგო გასაღები. ესეთი გასაღები შესაძლოა ინახებოდეს პიროვნებასთან, რმელიც შესაძლოა იყოს სამუშაოს ზედამხედველი, სუპერვაიზერი ან მენეჯერი, რომელმაც დეტალურად იცის დაგეგმილი სამუშაო და შესაბამისი ზომები.

რეკომენდირებულია, რომ შედგეს ბოქლომის მოხსნის სამუშაო ინსტრუქცია, სადაც გაწერილი იქნება ბოქლომის მოხსნის ყველა დეტალი და შესაბამისი პასუხისმგებლობები.

მრავალფუნქციური საკეტი წარმოადგენს კარგ საშუალებას რამოდენიმე საკეტის გამოსაყენებლად. მაკრატელა საკეტი კი არის შედარებით იაფასიანი ალტერნატივა.



ყურადღება: ბოქლომების, თიების, ზონარების და ა.შ. კომბინაცია იზოლაციის პროცესში აკრძალულია

7.3 თეგირება (tag out)

იზოლირებული წერტილზე ყოველთვის უნდა განთავსდეს შესაბამისი აბრა/თეგი. აბრა განთავსებული უნდა იყოს ხილულ ადგილზე, უნდა გააჩნდეს შესაბამისი ფერის კოდი, გაფრთხილება „სახიფათოა, მოწყობილობა ბლოკირებულია“ ან სხვა შესაბამისი გაფრთხილება, ასევე სახელი გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია იმ პირისა რომელმაც განახორციელა მოწყობილობის იზოლაცია.

მოწყობილობის სხვა ნაწილებიც, რომლებსაც შეუძლიათ ზიანის მოტანა უნდა იყოს ასევე თეგირებული რათა მოხდეს პერსონალის გაფრთხილება საფრტხის შესახებ.



ყურადღება: მხოლოდ აბრა არ წარმოადგენს ენერგო იზოლაციის პროცესს.

7.4 ეფექტურობის შემოწმება (try out)

სამუშაოს დაწყებამდე, ენერგო იზოლაციის პროცესის დასრულებისას მოწყობილობის ყველა არსებული ჩართვის დილაკი უნდა იყოს გააქტიურებული რომ დავრწმუნდეთ იზოლაციის ეფექტურობაში. ამ პერიოდში ყველა პირს ეკრძალება საფრტხის ზონაში ყოფნა.



ყურადღება: იმ შემთხვევაშიდაც კი, როდესაც მოწყობილობა არის სწორად იზოლირებული, ეფექტურობს შემოწმებისას ჩამრთველი სახელურები უნდა იყოს OFF პოზიციაში, რათა თავიდან ავირიდოთ მოწყობილობის უეცარი ამოქმედებისაგან გამოწვეული გართულებები.

ყურადღება: საავარიო გათიშვის დილაკი უნდა იყოს ON პოზიციაში იზოლაციის ეფექტურობის შემოწმებისას.

7.5 მოწყობილობის ჩართვა

პიროვნება, (პიროვნებები) რომელიც ახორციელებს მოწყობილობის იზოლაციას, მხოლოდ მას აქვს უფლება განახორციელოს მოწყობილობის დეიზოლაცია.



ყურადღება: თუ ეს შეუძლებელია, უნდა დაინერგოს პროცესი რომელიც მოგვცემს გარანტიას, რომ დავრწმუნდეთ-პიროვნება არ იმყოფება საფრტხის ზონაში მოწყობილობის გაშვებისას. პირველი წესი არის მასთან დაკავშირება და ინფორმირება.

იმ შემთხვევაში თუ საკეტი მოხსნილია სხვა პირის მიერ, ესეთ შემთხვევაში, მოწყობილობის გაშვებამდე სავალდებულოა შევატყობინოთ საკეტის მეკატრონეს ბოქლომის მოხსნის შესახებ.

მოწყობილობის გაშვება უნდა მოხდეს იზოლაციის პროცესის საპირისპიროთ:

- ყველა დამცავი საფარი უნდა დაყენდეს მოწყობილობაზე
- ვიზუალური ინსპექტირება მოწყობილობისა, რათა დავრწმუნდეთ რომ მოწყობილობის კონდიცია დამაკმაყოფილებელია
- დავრწმუნდეთ, რომ საფრთხის ზონა თავისუფალია, შესაძლოა გამოყენებული იქნას ხმოვანი ან ვიზუალური სიგნალები ესეთი შემთხვევებისას
- ყველა ბოქლომი უნდა მოიხსნას მათი მეპატრონეების მხრიდან
- უნდა მოხდეს მოწყობილობის ამუშავება
- უნდა განხორციელდეს ვიზუალური კონტროლი მოწყობილობის ნორმალური მუშაობის დასადგენად
- ბოლო ეტაპზე უნდა მოიხსნას ყველა ბარიერი და გამაფრთხილებელი ნიშნი.

იმ შემთხვევაში თუ არსებული საფეხურების დაცვა შეუძლებელია, მიღებული უნდა იყოს დამატებითი ზომები რისკების შეფასების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში თუ მოწყობილობის გაშვება გაჩერება უნდა მოხდეს რამოდენიმეჯერ, ესეთ შემთხვევაში ენერგო იზოლაციის მხოლოდ რამოდენიმე საფეხურის დაცვა აკრძალულია. პროცესი უნდა განხორციელდეს მოწყობილობის ენერგო იზოლაციის სრული წესებისა და საფეხურების დაცვით.

8 ახალი მოწყობილობების შექმნა

ახალი მოწყობილობის შექმნამდე უნდა მოხდეს რისკების შეფასება, პროცესში ჩართული უნდა იყოს შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი.

უნდა დარწმუნდეთ, რომ ტექნიკური თვალსაზრისით ახალი მოწყობილობის იზოლაცია შესაძლოა განხორციელდეს უსაფრთხოდ.

9 კონტრაქტორები და გარე ორგანიზაციები

იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორი მხარე პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ჩართული მოწყობილობის ენერგო იზოლაციის პროცესში, სავალდებულო რომ მკაცრად იყოს რეგულირებული და გაკონტროლებული კონტრაქტორის ტექნიკური, ორგანიზაციული და ადამიანური რესურსის ფაქტორი და მათი პასუხისმგებლობები. ყოველივე ეს უნდა იყოს დოკუმენტირებული და გაცნობილი კონტრაქტორი ორგანიზაციისათვის ან პირისათვის..

დამატებითი ინფრმაციისათვის იხილეთ „სტუმრებისა და კონტრაქტორების“ სახელმძღვანელო.

10 პერსონალის კომპეტენცია

მხოლოდ და მხოლოდ კომპანიისაგან უფლებამოსილ პირს შეუძლია განახორციელოს მოწყობილობის ენერგო იზოლაცია.

პიროვნებას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა განახორციელოს მოწყობილობის ენერგო იზოლაცია.

კომპეტენციის სავალდებულო კრიტერიუმები უნდა განსაზღვროს ორგანიზაციამ და განახორციელოს მისი დანერგვა და პერიოდული შემოწმება მანამ სანამ პიროვნება ჩაერთვება ენერგო იზოლაციის პროცესში.

10.1 სწავლებები

სამუშაო ობიექტის მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს და დანერგოს მოწყობილობის ენერგო იზოლაციის სასწავლო პროგრამა. შესაბამისი სწავლება უნდა ჩატარდეს სპეციფიურ სამუშაო უბნებზე მანამ, სანამ პიროვნება პირველად განახორციელებს მოწყობილობის იზოლაციას

ენერგო იზოლაციის სწავლება უნდა ტარდებოდეს რეგულარულად, მინიმუმ წელიწადში ერთხელ პროცესში მონაწილე ყველა პირისათვის. დამატებითი სწავლება უნდა ჩატარდეს თუ მოხდა სამუშაო პროცესის ცვლილება, შეიცვალა ინდ დაცვის საშუალებები ან მოხდა დამატებითი საფრთხის იდენტიფიცირება. ყველა სწავლება უნდა იყოს დოკუმენტირებული.

სწავლება შესაბამისობაში უნდა იყოს სამუშაო გარემოსთან და შეიცავდეს ინდ დაცვის საშუალებების მოხმარების წესებს.

სწავლება უნდა ითვალისწინებდეს იზოლაციის პროცესში მონაწილე პირების სწორ ქცევას და ქმედებას.

მენეჯერი პასუხისმგებელია დარწმუნდეს, რომ პიროვნებას გააჩნია შესაბამისი ცოდნა, უნარი და შესაძლებლობა სამუშაოს შესასრულებლად

11 საგანგებო სიტუაციები

უნდა შემუშავდეს ეფექტური გეგმა საგანგებო და საავარიო სიტუაციებზე რეაგირებისათვის რაც დაკავშირებულია მოწყობილობის ენერგო იზოლაციასთან. საავარიო გეგმა უნდა ეყრდნობოდეს მოწყობილობისა და შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკას, სამუშაო გარემოსა და შესასრულებელი სამუშაოს თავისებურებებს.

12 პროცესის დანერგვა და კონტროლი

ხარვეზების ანალიზი უნდა ჩატარდეს სახელმძღვანელოს გამოცემიდან 3 თვის განმავლობაში იმისათვის, რომ გამოიკვეთოს ხარვეზები არსებულ პროცესში, შედგეს შესაბამისი სამოქმედო გეგმა, პასუხისმგებლობებითა და შესრულების ვადებით.

პროცესის დანერგვა და მისი შესაბამისობა აღნიშნულ სახელმძღვანელოსთან, შემოწმებული უნდა იყოს მინიმუმ ერთხელ კალენდარული წლის მანძილზე. ეს შესაძლოა განხორციელდეს აუდიტის, ინსპექტირების ან სხვა სახის შემოწმების საფუძველზე რაც განსაზღვრულია უსაფრთხოების მენეჯმენტ სისტემით.

13 დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაცია (სასწავლო მასალები, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები) შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
http://unite.grouphc.net/wok/hs/Pages/HSGuideline_Training_en-US.aspx

სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ სახელმძღვანელოსთან არის: „მოწყობილობა დანადგარის უსაფრთხოება“ „სტუმრებისა და კონტრაქტორების უსაფრთხოება“ „ჯგუფის უსაფრთხოების მინიმალური სწავლების სტანდარტი“

ჯგუფის პოლიტიკა და სხვა სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
<http://unite.grouphc.net/wok/hs/Pages/default.aspx>

საკონტაქტო ინფორმაცია:

დოქტორ კლაუს ჰორმანი

ჯგუფის H&S მენეჯერი

ჯგუფის ადამიანური რესურსების დეპარტამენტი

ტელეფონი: +49 6221 481 32007

klaus.hormann@heidelbergcement.com